

ბიულეტენი N4

ახალციხე  
2015წ.

## მომავლის თაობა




[www.civics.ge](http://www.civics.ge) [www.Initiatives.ge](http://www.Initiatives.ge) [www.civicsnet.ge](http://www.civicsnet.ge)

facebook/ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი [www.akhaltsikheyouthcenter.wordpress.com](http://www.akhaltsikheyouthcenter.wordpress.com)

პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

## "დღე - ავტომობილების გარეშე"

22 სექტემბერს ქალაქ ახალციხეში ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით, სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის პარტნიორი და არაპარტნიორი საჯარო სკოლის მოსწავლეების, მოხალისეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიისა და ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობით მოეწყო საინფორმაციო აქცია სახელწოდებით „დღე ავტომობილის გარეშე“.



„ძალიან საინტერესო დღეა, ეს დღე მთელს მსოფლიოში აღინიშნება. აქციის მიზანია ადამიანები ავტომობილების ნეგატიურ გავლენაზე და ალტერნატიული სანვაგის გამოყენებაზე დაათვალიეროს. დღეს მე აქციის

მონაწილე ვარ და მოქალაქეებს მოუწოდებ, ორბორბლიანი ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმოძრაონ.“ - ამბობს აქციის მონაწილე ა/ო დემოკრატ მესხთა კავშირის წარმომადგენელი ჯაბა ნათენაძე. აქციის მსვლელობა დღის მეორე ნახევარში 15:00 საათზე დაიწყო სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან ცენტრალურ პარკამდე. „ახალციხის ცენტრალურ ქუჩებში ბორდიურებზე ტრანსფარანტებით ემოძრაობდით. მოვუწოდებდით მოსახლეობას, ამ დღეს ემოძრავათ მანქანის გარეშე, მათ ავტომობილებს ვინც ფეხით არ იყო გამოსული, სოლიდარობის ნიშნად მწვანე ლენტები დაუშვამგრეთ.“ - ამბობს ახალციხის კერძო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლევან მიშინი. ერთი კვირით ადრე ადგილობრივი მედიის საშუალებით ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია აღნიშნული დღის შესახებ. სწორედ ამიტომ, მსვლელობას შემოუერთდნენ ადგილობრივი მედია, ტელეკომპანია მე-9 არხი“, რეგიონალური გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატ მესხთა კავშირი“, ახალციხის N6 და N1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები და ახალციხის მოსახლეობა. მოსწავლეებმა აღნიშნული დღის ფარგლებში ითანამშრომლეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ჩაინერგეს ინტერვიუ-მიმართვები .



## სამოქალაქო განათლების პედაგოგებს სერთიფიკატები საზეიმოდ გადაეცათ



ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრებთან თანამშრომლობით, აღნიშნულ ცენტრებში, სამოქალაქო განათლების პროგრამის "მომავლის თაობა" მონაწილე სკოლების პედაგოგებს ა(ა)იპ "კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრიში" გავლილი ტრენინგების ციკლის წარმატების დასრულებისათვის სერთიფიკატები გადაეცათ. სულ სამცხე-ჯავახეთში გადამზადდა 42 სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრისა და

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურმა წარმომადგენლებმა პედაგოგებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ დამზადებული ელექტრონულ გამოკითხვის კითხვარი შეაფასებინეს, რომელიც მოიცავდა სამოქალაქო განათლების პროგრამის "მომავლის თაობა" ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციას.



## სოციალური მედიის ტრენინგი ნინოზმინდაში

23 სექტემბერს ნინოზმინდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისთვის



ნინოზმინდაში, არასამთავრობო ორგანიზაცია "ფაროს"-ში ჩატარდა სოციალური მედიის ტრენინგი. ტრენინგს ესწრებოდნენ ეშტიის #1, ეშტიის #2, ჯიგრაშენის და პატარა კონდურის საჯარო სკოლის მეთაფ, მეცხრე კლასელები და პედაგოგები. ტრენინგზე მოსწავლეები გაეცნენ



სოციალური მედიის საშუალებებს, მის გამოყენების წესებს და ისწავლეს ბლოგებზე მუშაობა. მოსწავლეებმა ბლოგები დაარეგისტრირეს შემდეგი ნომინაციებით: ახალგაზრდა მოხალისე, ახალგაზრდა განმანათლებელი, მოქალაქე ჟურნალისტი, ჯანსაღი ცხოვრების ადვოკატი, ახალგაზრდა ომბუდსმენი, ბუნების დამცველი . 28 ოქტომბერს კი სოფ.ეშტიის #1 საჯარო სკოლაში ამავე მიმართულებით ჩატარდა თანატოლგანმანათლებელთ ტრენინგი სკოლის მოსწავლეებთან.

სოციალური მედიის ტრენინგი ხელს უწყობს მოსწავლეებმა ისწავლონ პრობლემის მოგვარება სოციალური მედიის საშუალებების დახმარებით.

პოპულარიზაცია გაენია საიტებს civics.ge-ს და initiative.ge-ს.

## ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები



პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში ოქტომბრიდან-დეკემბრამდე, სამცხე-ჯავახეთის პარტნიორ საჯარო სკოლებში, მცირე გრანტების ფარგლებში მიმდინარეობდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან .

პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მათ გააცნეს ამომწურავი ინფორმაცია მცირე გრანტის კონკურსის შესახებ და ის ფორმები , რაც უნდა ახლდეს საგრანტო განაცხადს სრულყოფისათვის.

## რა უნდა ვიცოდეთ ადამიანის უფლებებზე

ასპინძის მუნიციპალიტეტის ნაქალაქევის სკოლის მე-9 კლასელებმა "ადამიანის უფლებების დღის"



აღსანიშნავად ჩაატარეს ღონისძიება. მოსწავლეებმა წარმოაჩინეს თავიანთი ცოდნა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და განიხილეს საპრეზენტაციო თემები „ჩემი უფლებები“.

„სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე თითოეულ მოსწავლეს დაევალა მოეძიებინა ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაცია, რის შემდეგაც მიღებული ცოდნის საფუძველზე უნდა ეფიქრა და გაეთავისებინა მისი როლი და მასზე დაკისრებული ვალდებულებები ადამიანის უფლებების

დაცვასთან მიმართებაში.“ – აღნიშნა ნაქალაქევის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნანა მალრაძემ. „ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის გაღრმავება და ინფორმაციის მოძიება, მნიშვნელოვანი იყო, როდესაც ჩვენი თემები „მე და უფლებები“ წარმოვადგინეთ, ჩვენ უფროსებისგან მივიღეთ ბევრი პრაქტიკული რჩევები, რასაც სამომავლოდ გავითვალისწინებთ.“- ამბობს ერთ-ერთი პრეზენტატორი მე-10 კლასის მოსწავლე.

ღონისძიებას ესწრებოდა სკოლის ადმინისტრაცია და ისტორიის პედაგოგები.



## ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დღე

25 ნოემბერს, ახალციხის ცენტრალურ პარკში ჩატარდა აქცია სახელწოდებით „ადრეული ქორწინება გოგონებზე ძალადობაა!“. ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღის აქციას, შპს ხერხეში ქ. ახალციხის კერძო სკოლა „მზექა“-ს მე-10 კლასის მოსწავლეები, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები, ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატ



მესხთა კავშირის წევრები, ადგილობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები (რეგიონალური გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ და „ტელეკომპანია მე-9 არხი“) შეუერთდნენ.

აღნიშნული აქცია მიზნად ისახავდა არასრულწლოვანი გოგონების მიმართ განხორციელებული ძალადობის გაპროტესტებას, რაც გულისხმობს 16 წლამდე გოგონების იძულებით ოჯახის შექმნას. რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ქორწინებას თან ახლავს არასრულწლოვანთა ორსულობა და მშობიარობა, რომელიც საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და ხელს უშლის განათლების მიღებასა და კარიერულ წინსვლაში.



## მომავალი პროფესია სტუმარი ემტიის N1 საჯარო სკოლაში

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ემტიის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ბერნიკ ჰოვსეფიანის ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა სტუმართან თემაზე-„პროფესია“, სადაც მონაწილე იყო ყოფილი თანასოფელელი, ირლანდიის დუბლინის უნივერსიტეტის პროფესორი და წარმატებულ პიროვნება, ბატონი სააკ ჰოვსეფიანი.




შეხვედრამ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა, სამოქალაქო განათლების მასწავლებლის თქმით, პირადი ნაცნობობის საფუძველზე მოიწვია სტუმარი, რომელიც ამავე დროს გერმანიის ქალაქ მიუნხენის უნივერსიტეტის წარმომადგენელია. მე-10 კლასის მოსწავლეებმა აღნიშნული თემის ირგვლივ დისკუსია გამართეს, იმსჯელეს მომავალ პროფესიაზე და იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწავლა და იმაზე ფიქრი, თუ რა პროფესია უნდა აირჩიონ სამომავლოდ რომ იყვნენ წარმატებულები.

შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა უღრმესი მადლობა გადაუხადეს ბატონ სააკ ჰოვსეფიანს საინტერესო საუბრისათვის და სამოქალაქო განათლების პედაგოგს იმისთვის, რომ საშუალება მისცა მათ გაცნობოდნენ წარმატებულ სტუმარს და მიეღოთ მისგან რჩევები თუ როგორ უნდა აერჩიათ პროფესია. აღნიშნული შეხვედრა სტიმული იყო მე-10 კლასელებისათვის, რადგან ბატონმა სააკმა მოტივაცია გაუღვივა, მისცა მათ კარიერული წინსვლის სტიმული, ის რჩევები რასაც მოსწავლეები პროფესიის არჩევისას გაითვალისწინებენ.



## სამცხე-ჯავახეთის პარტნიორი საჯარო სკოლის პედაგოგებისათვის მრგვალი მაგიდა მოეწყო



1 ნოემბერს ქ. ახალციხეში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ფარგლებში მრგვალი მაგიდა ჩატარდა, სადაც სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ მონაწილე სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების 20 პედაგოგი მონაწილეობდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ არაქართული (სომხურენოვანი) საჯარო სკოლების პედაგოგები, ამიტომ მრგვალი მაგიდა ორ ენაზე წარიმართა, რომელსაც უძღვებოდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი ორგანიზაციის ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მიერ მოწვეული თარჯიმანი, თინათინ აკოფიანი. მასწავლებელთა საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა-პრეზენტაცია პრეზენტაცია წარადგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ას. პროფესორმა, ევროპული სკოლის მათემატიკის კათედრის გამგემ, წამყვანმა მასწავლებელმა პეტრე ბაბილუამ. მან დამსწრე პედაგოგებს გააცნო სქემის მიზანი, სქემის რეგულირების სფეროები, მასწავლებლის სქემაში გადანაწილება, ასევე მოქმედი მასწავლებლების მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსების მიღწევის გზები. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში და განიხილეს კონკრეტული სიტუაციები. „პედაგოგებმა მიიღეს ინფორმაცია ახალი სქემის შესახებ, თუ რამდენი კრედიტ ქულა უნდა დააგროვონ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, პრაქტიკოსი მასწავლებლიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად, შესანარჩუნებლად და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. ასევე მიიღეს ინფორმაცია სახელფასო პოლიტიკის შესახებ და თვითშეფასების კითხვარის შევსებისას განსაზღვრეს ფასილიტატორის და შეფასების ჯგუფის უფლება-მოვალეობები. „მრგვალი მაგიდაზე წარმოდგენილი იყო მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი, რომლის შესრულება მოუწევთ მათ კრედიტქულების დასაგროვებლად“ - ამბობს სამცხე-ჯავახეთის პედაგოგთა ფორუმის კოორდინატორი ნინო ნადირაძე.

მრგვალი მაგიდა სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის წელიწადში ერთხელ პარალელურად საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში ეწყობა, სადაც სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი საჯარო სკოლების პედაგოგებს საშუალება ეძლევა მათი კარიერული წინსვლისათვის საჭირო და მიზანმიმართული ინფორმაციები მიიღონ.

### „სახელმწიფო დაწესებულებები და დოკუმენტები“



8 დეკემბერს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის N1 სკოლის 10 კლასში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე „სახელმწიფო დაწესებულებები და დოკუმენტები“. გაერთიანდა სამი საგანი : მშობლიური ენა, სამოქალაქო განათლება და გეოგრაფია.

გაკვეთილზე ხაზი გაესვა სახელმწიფო ენის სიღრმისეული ცოდნის აუცილებლობას, რადგან ამას მოითხოვს დოკუმენტაციის წარმოება. ბერნიკ ჰოვსეფიანმა აღნიშნა რომ „მოსწავლეებს ხშირად უწევთ წერილობით მიმართონ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს

ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეულმა იცოდეს ის ენა და ტერმინები რაც ოფიციალური დოკუმენტის წარმოებას ჭირდება“.

## შპ მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შეხვედრა ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარესთან

15 ნოემბერს შპ მოზარდების საზოგადოებაში და თანატოლებთან ინტეგრაციის მიზნით, საკლასო პროექტის "ერთად ცვლილებებისთვის" (პროექტის ავტორია ამავე სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი მაია გულიაშვილი) ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები და შპმ პირები, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ზაზა ჩაჩანიძეს შეხვედნენ. შეხვედრა საკმაოდ უშუალო ვითარებაში წარიმართა. საკრებულოს თავმჯდომარემ გულდასმით მოისმინა და გაიზიარა ახალგაზრდების წინადადებები, ინიციატივები და მზაობა გამოთქვა მათთან სამომავლო თანამშრომლობაზე.



შეხვედრა გულისხმობდა: სკოლის მოსწავლეების ზრუნვას თანატოლებზე, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შპმ) ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას სამოქალაქო საზოგადოების პროცესებში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას, დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერას და საერთო ღონისძიებებში მონაწილეობას.

შეხვედრის შემდეგ მოსწავლეები დაესწრნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მათ ყურადღებით მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 19 საკითხი და ინტერესით დააკვირდნენ სხდომის მსვლელობის პროცედურებს.

## ვიზიტი პარლამენტში

9 დეკემბერს ბორჯომის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ვიზიტზე საქართველოს პარლამენტში, ქალაქ ქუთაისში.



„საქართველოს პარლამენტში მოსწავლეები ეწვივნენ პლენარულ სხდომათა დარბაზს, ბიუროს ოთახს და საპარლამენტო კომიტეტების სამუშაო სივრცეებს, გაეცნენ ქართული პარლამენტარიზმის ისტორიას, პარლამენტის სტრუქტურას, მისიასა და როლს. პლენარულ სხდომაზე დასწრებისას პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა დეპუტატებს აცნობა მოსწავლეთა ვიზიტის შესახებ, რასაც დარბაზში ტაში და



აპლოდისმენტები მოჰყვა.“ – ამბობს ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი მაია გულიაშვილი.

ვიზიტი ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გაგრძელდა. „საინტერესო იყო ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშების ნახვა, რომელიც ძვ.წ. IX-VII სს.-დან გვიან შუასაუკუნეების ჩათვლით არის დაცული. ასევე, მოვილოცეთ უძველესი ქართული სინმინდევები ბაგრატი და გელათი“ – ამბობს სასკოლო პროექტის მონაწილე მარიამ გელაშვილი.

აღნიშნული ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპ მოზარდების ინტეგრაციის ხელსეწყობა თანატოლებთან.



## "თანასწორობა-ქვეყნის სიძლიერე"

ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით (ხელმძღვანელი: მაია გულიაშვილი), 8 დეკემბერს, ამავე სკოლაში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „ თანასწორობა-ქვეყნის სიძლიერე“.



ლონისძიების მიზანს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრთან არსებული ბორჯომის გენდერული კლუბის პრეზენტაცია „გენდერული სტერეოტიპები“ და ამ საკითხზე დამუშავებული თემების წარმოჩენა. კონფერენციის ბოლოს, მოენყო დისკუსია. მონაწილეები იყვნენ: ნმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი იოანე (ხეცურიანი), ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის პრეს-მდივანი-ნინო საბაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ქალბატონები: მარიკა

ნობაძე და მაია ხრიკაძე, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი იზოლდა ლომიძე, ფსიქოლოგი მანანა ნადირაძე და ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები. საკლასო ლონისძიებების ხელშეწყობის მიზნით ახალგაზრდულმა ცენტრმა სკოლას საზეიმო ვითარებაში ციფრული ფოტოაპარატი გადასცა. კონფერენციაზე დაჯილდოვდნენ თემების პრეზენტატორები: ლიზა ყიფიანი, გიორგი სულაქველიძე, მარიამ დევიძე, მარიამ ზედგინიძე, ზაური ხოჭოლავა, ნიკოლოზ ბერიძე, ლუკა კობახიძე, მარიამ და გიორგი ლომიძეები.



ლონისძიება დასრულდა ამავე სკოლის დირექტორის, ქალბატონი დოდო შაყულაშვილის გამოსვლით, რომელმაც მადლობა გადაუხადა მონაწილე სტუმრებს მხარდაჭერისთვის და მზაობა გამოთქვა სამომავლო მხარდაჭერისთვის.

## “ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით”



ქ.ნინოწმინდის #4 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე აიდა მკრტიანიმა საკუთარი ინიციატივით დაგეგმა საკლასო პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თემაზე. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებში ემპათიის უნარის განვითარება, საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააქტიურება. „შშმ პირებს პატივისცემით და სიყვარულით უნდა მოვექცეთ. უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ ყველა თანასწორნი ვართ და ვაგვაჩნია თანაბარი უფლებები.“ - ამბობს აიდა მკრტიანი.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი რომელსაც ფასილიტაციას უწევდა სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნინო ტაბატაძე. მონაწილეებმა იმსჯელეს შშმ პირების უფლებებზე, იმ საზოგადოებრივ სიკეთეებზე რომლებზეც ისინი არიან მოკლებულები და შეიმუშავეს სამომავლო გეგმები.

## სემინარი ეკოლოგიურ პრობლემებზე



17 დეკემბერს ნინოწმინდის #2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად დაგეგმა და ჩაატარა სემინარი-ეკოლოგიურ საკითხებზე. სემინარი ეხებოდა ეკოლოგიურ საფრთხეებსა და მათი მოგვარების გზების ძიებას. მოსწავლეებმა სემინარის დასრულების შემდეგ ქოთნებში დარგეს



წინვოვანი ხეები, რომლებსაც გაზაფხულზე სკოლის ეზოში გადარგავენ.

## გაზეთი პირველი ნაბიჯები



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის N1 საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასელებმა, ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის ბერნიკ ჰოვსეფიანის დახმარებით ორ ენოვანი (სომხური და ქართული) სასკოლო გაზეთი „პირველი ნაბიჯები“ გამოუშვეს. გაზეთში დაწერეს ის აქტივობები რაც განახორციელეს პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში, შეადგინეს საინტერესო კროსვორდები. აღნიშნული საკლასო გაზეთის ოფიციალური პრეზენტაცია 3 დეკემბერს მოეწყო, რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის რადიო „NOR“- მა გააშუქა. გაზეთზე მუშაობა ხელს უწყობს ახალგაზრდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ცხოვრებაში და ნასწავლი მასალა სწორად გამოიყენონ პრაქტიკაში.

ბიულეტენი შექმნილია სამოქალაქო განათლება „მომავლის თაობა“ ფარგლებში  
ქ. ახალციხე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი, კოსტავას ქ. 79. ტელ: 0 (365) 22 08 77

Email: [icyakhalttsikhe@yahoo.com](mailto:icyakhalttsikhe@yahoo.com) ბლოგი: [Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com](http://Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com)